

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №50

2026 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

„დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/01/2014, 300160070.10.003.017619) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის:

1. მე-4 მუხლის 5¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5¹. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ 5-ით გათვალისწინებული საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, თვითმონიტორინგის მიზნით, აწარმოოს დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი განსაზღვრა, ინსტრუმენტული მეთოდით. საქმიანობის სუბიექტის მიერ დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობისა და ტემპერატურის განსაზღვრა წარმოებს მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევისას უშუალოდ მავნე ნივთიერებების გაფრქვევის იმ წყარო(ებ)ზე (ჰაერსატარში, მილში), რომლ(ებ)ის შესაბამისი გამოყოფის წყაროები განსაზღვრულია დანართ 5-ით. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების იმ სტაციონარული წყაროებისთვის, რომლებიც გათვალისწინებულია „სამრეწველო ემისიების შესახებ“ საქართველოს კანონის I დანართით, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის წარმოების დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება ამავე კანონით, შესაბამისი საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის შესახებ დასკვნების საფუძველზე.“.

2. მე-4 მუხლის 5³ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5³. სავალდებულოა შემდეგი მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობისა და ტემპერატურის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა, თუ კონკრეტული დამაბინძურებლის კონცენტრაცია, სააგენტოსთან შეთანხმებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მფლობელის მიერ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში მოცემული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრების ან/და ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვით გათვალისწინებული მავნე ნივთიერებათა ემისიის ზღვრული მნიშვნელობების მიხედვით, შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართ 6-ით განსაზღვრულ ქვედა ზღვრებს:

ა) მტვერი (შეწონილი ნაწილაკები, TSP);

ბ) აზოტის ორჟანგი (NO₂);



გ) გოგირდის ორჟანგი (SO₂);

დ) ნახშირჟანგი (CO).“.

3. მე-4 მუხლის 5⁵ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5⁵. უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის შედეგები ეგზავნება სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს უშუალოდ მონიტორინგის ხელსაწყოდან, ყოველგვარი ცვლილების გარეშე, უწყვეტ რეჟიმში (არაუმეტეს 5-წუთიანი ინტერვალით) სერვისის საშუალებით, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მონაცემთა მთლიანობა და დაცულობა. უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის შედეგების საფუძველზე, 30-წუთიანი გასაშუალოებული მონაცემ(ებ)ის შედარება მოხდება ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის დადგენილ ნორმებთან ან/და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მფლობელის მიერ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში მოცემულ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრებთან ან/და ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვით გათვალისწინებულ მავნე ნივთიერებათა ემისიის ზღვრულ მნიშვნელობებთან. საქმიანობის სუბიექტს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, თუ იგი შედეგების მიწოდების ნებისმიერი წყვეტის თაობაზე, შეწყვეტის მიზეზის (მაგ.: დანადგარის გათიშვა, დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოების განხორციელება და ა. შ.) შესახებ ინფორმაციის დაზუსტებით, ცხელი ხაზის (153) ან/და შესაბამისი ელექტრონული ფოსტის (airhelp@des.gov.ge) საშუალებით, წინასწარ ან დაუყოვნებლივ აცნობებს სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.“.

4. მე-4 მუხლის 5⁷ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5⁷. უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის შედეგების მიწოდების შეწყვეტისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის დადგენილი ნორმების ან/და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მფლობელის მიერ ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში მოცემული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრების ან/და ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვით გათვალისწინებული მავნე ნივთიერებათა ემისიის ზღვრული მნიშვნელობების გადამეტების დაფიქსირების შესახებ სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისგან ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფისთვის, საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, განსაზღვროს საკონტაქტო პირ(ებ)ი და მათ შესახებ ინფორმაცია აცნობოს სსდ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, საკონტაქტო ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითებით. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია, მონაცემებს უცვლელად და დაცულად ინახავდეს, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში და ნებისმიერ დროს, მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს მონაცემების სამინისტროსა და სააგენტოს წარმომადგენლისთვის ხელმისაწვდომობა. ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, საქმიანობის სუბიექტმა უნდა უზრუნველყოს უწყვეტი ინტერნეტკავშირისა და არანაკლებ ერთი სტატიკური გარე IP მისამართის ქონა.“.

5. მე-4 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. პად-ის ფორმებს ყოველკვარტალურად (ყოველი კვარტალის ბოლოს) აწარმოებენ მხოლოდ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებისა და ინტეგრირებული გარემოსდაცვითი ნებართვის მქონე საქმიანობის განმახორციელებელი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტები.“.

6. დანართ 5-ის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8.	მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან	ლითონური მადნის, კონცენტრატის, ზოდების ან/და ჯართის სადნობი ლუმელი; დანადგარი, რომელშიც მიმდინარეობს ფერადი ლითონების
-----	---	--



(მათ შორის, ნარჩენების აღდგენის შედეგად) ფერადი ლითონების წარმოება, გარდა საიუველირო წარმოებისა

წარმოებასთან დაკავშირებული ქიმიური ან/და ელექტროქიმიური პროცესები.“

7. დანართი 6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 6

უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის მეთოდები, გაზომვის ქვედა ზღვრები და რეკომენდებული სტანდარტები

პარამეტრი/ნივთიერება	მონიტორინგის მეთოდი	გაზომვის ქვედა ზღვარი (1)	სერტიფიცირებისა და დაკალიბრებისთვის რეკომენდებული სტანდარტები	რეკომენდებული საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები
ნახშირყანგი (CO)	ფიწს*, ადიწს*	50 მგ/მ ³ -ზე მეტი	ზოგადი სტანდარტები (2)	სსტ ენ 15058:2017/2018
მტვერი (TSP)	სინათლის ჩაქრობა ან გაბნევა, ტრიბოელექტრული მეთოდი	1.5 მგ/მ ³ -ზე (მოცემული, როგორც 5 გაბნეული სინათლის ერთეული) მეტი	ზოგადი სტანდარტები (2) და სსტ ენ 13284-2:2017/2018	სსტ ენ 13284-1:2017/2018
აზოტის ოქსიდები (NO _x) (3)	ქემილუმინესცენცია, ფიწს*, ადიწს*, ადუსის*, დოას*	20 მგ/მ ³ -ზე მეტი	ზოგადი სტანდარტები (2)	სსტ ენ 14792:2017/2018
გოგირდის დიოქსიდი (SO ₂)	ფიწს*, ადიწს*, ადუსის*, დოას*	10 მგ/მ ³ -ზე მეტი	ზოგადი სტანდარტები (2)	სსტ ენ 14791:2017/2018
ტემპერატურა	თერმოწყვილები, პირომეტრია	400°C-ზე მეტი	ზოგადი სტანდარტები (2)	ჰაერში გაზომვის სპეციფიკური ევროპული ან საერთაშორისო სტანდარტი არ არის ხელმისაწვდომი

(1) სტანდარტული პირობებისთვის ანუ მშრალი აირისთვის: 273.15 K, 101.3 კპა, ჟანგბადის სტანდარტული კონცენტრაცია.

(2) სსტ ენ 15267-1:2023/2023, სსტ ენ 15267-2:2023/2025, სსტ ენ 15267-3:2023/2024, სსტ ენ 14181:2014/2021, სსტ ენ 15259:2007/2021 და სსტ ენ ისო 9169:2006/2016.

(3) ხელმისაწვდომია ასევე ავტომატური მონიტორინგის სისტემა (ამს, AMS) NO-ისა და NO₂-ის დამოუკიდებლად გაზომვისთვის.

(*) აბრევიატურები: დოას (DOAS) – დიფერენციალური ოპტიკურ-აღსორბციული სპექტროსკოპია; ფიწს (FTIR) – ფურიეს ინფრაწითელი სპექტრომეტრია; ადიწს (NDIR) – არადისპერსიული ინფრაწითელი სპექტრომეტრია; ადუსის (NDUV) – არადისპერსიული ულტრაიისფერი სპექტრომეტრია.“

მუხლი 2

1. დადგენილება, გარდა ამავე დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს



გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

